Journalists
Network for
Gender
Equality

## ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის

# პროექტი:
# „აირჩიე თანასწორობა!“

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

# პრეზენტაციის სტრუქტურა

- პროექტის მიზნები
- განხორციელების არეალი
- მომზადებული პროდუქცია
- აქტივობები
- პრობლემები და გადაჭრის გზები
- საზოგადოების ჩართულობა და მათთან მუშაობა
- შედეგები

# პროექტის მიზნები და ამოცანები

**პროექტის მიზანი:**

პროექტის პირდაპირი მიზანი იყო საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ქალთა ცნობიერების ამაღლებით ხელი შეწყობოდა გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას და არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ზრდას.

**პროექტის ამოცანები:**

- გაზრდილიყო საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მოტივაცია ყველა სქესისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის, პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის და წახალისების იდეის გარშემო;
- გაზრდილიყო არჩევნებში ჩართული მხარეების კომუნიკაცია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებისათვის;
- გაზრდილიყო ქალი კანდიდატების მოტივაცია, უკეთესად მოახდინონ საკუთარი თავის პოპულარიზაცია ამომრჩევლის წინაშე;

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# პროექტის პირდაპირი მიზნები:

- გაზრდილიყო პოლიტიკური პარტიების მოტივაცია წარადგინონ ქალი კანდიდატები და შეადგინონ გენდერულად დაბალანსებული საარჩევნო სიები;

- მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოხდეს გენდერული თანასწორობის და ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის იდეის პოპულარიზაცია და ქალი კანდიდატების მხარდაჭერა;

- მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ნეგატიური დამოკიდებულებების შეცვლა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ

ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# პროექტის განხორციელების არეალი

პროექტი განხორცილდა საქართველოს 8 რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამხე - ჯავახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა) და მოიცავდა სხვადასხვა ეთნიკურ, სოციალურ, რელიგიურ, ასაკობრივ, გენდერულ ჯგუფებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

# მომზადებული პროდუქცია

## ბანერები საინფორმაციო შეხვედრებისთვის












საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# მომზადებული პროდუქცია

დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა საინფორმაციო გზამკვლევები გენდერული კვოტირების და ზოგადად, გენდერული თანასწორობის შესახებ





ЧТО ТАКОЕ ГЕНДЕРНОЕ РАВЕНСТВО?

это равенство между мужчинами и женщинами, которое подразумевает обеспечение равных прав и возможностей их реализации для мужчин женщин; равное распределение обязательств; равный доступ к любым ресурсам. Гендерное равенство — это фундамент развития и позитивных изменений.

ЧТО ТАКОЕ НАСИЛИЕ НА ПОЛОВОЙ ПОЧВЕ?

это любое действие, которое основано на половой почве и в результате мужчине или женщине причиняют физический, психический или сексуальный вред.

ЧТО ТАКОЕ ДИСКРИМИНАЦИЯ НА ПОЛОВОЙ ПОЧВЕ?

любое различие, разделение и/или ограничение на половой почве, которое касается прав и обязательств мужчин и женщин; подразумевает неравное предоставление способностей, их ослабление или отрицание.

ЧТО ТАКОЕ ИСПОЛЬЗОВАНИЕ СЕКСИЗМА В ЯЗЫКЕ И ЛЕКСИКЕ?

такие слова, высказывания или оценки, посредством которых происходит дискриминация людей на половой почве. Сексизм в языке подразумевает высказывания, в которых пренебрегают правами, значениями и вкладом представителей любого пола; подчеркивает разницу и принижает их роль в обществе.

Journalists Network for Gender Equality

ცენტრი

Issued within the frame of the project "Choose Equality" implemented by NGO "Journalists Network for Gender Equality" via support of Center of Electoral Systems Development, Reforms and Trainings.

Публикация подготовлена в рамках проекта "Выбери Равенство", который реализуется организацией "Сеть Журналистов за Гендерное Равенство" при содействии Центра Развития Избирательных Систем, Реформ и Тренингов.

ძვირფასო მონაწილეებო და გულშემატკივრებო,

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თბილისში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე. საქართველოსთვის, როგორც ახალი დემოკრატიის ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა.

ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ ოლიმპიური ფესტივალი ჩავატაროთ მაღალ პროფესიულ დონეზე, დემოკრატიული პრინციპების დაცვით და გათვალისწინებით.

ჩვენი ერთ-ერთი მიზანია ფესტივალის დროს თანასწორი და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ გენდერულ თანასწორობას, ვგმობთ სქესის ნიშნით ყოველგვარი ძალადობის თუ დისკრიმინაციის გამოვლენას, სექსისტური ენის თუ ლექსიკის გამოყენებას.

გვჯერა, რომ თქვენც მხარს უჭერთ აღნიშნული პრინციპების დანერგვასა და დაცვას.

თანასწორობას მოაქვს წარმატება!

გისურვებთ გამარჯვებას!

*პატივისცემით,*
*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი*
*„თბილისი 2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტი*
*არასამთავრობო ორგანიზაცია „ჟურნალისტთა*

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# მომზადებული პროდუქცია

მომზადდა მაისურები სპეციალური წარწერებით












საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

- პროექტი მოიცავდა ინფორმირების ინოვაციურ მეთოდს - ახალგაზრდების და მოსახლეობის ინფორმირებისათვის გამოყენებული იყო ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური მოვლენა - ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომლის პირდაპირი ბენეფიციარი იყო 1500 მოხალისე ახალგაზრდა, არაპირდაპირი კი 20 000-ზე მეტი მოქალაქე. კამპანია წარიმართა სლოგანით „თანასწორობას მოაქვს წარმატება“.

ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

დაიბეჭდა სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) სპეციალური ფლაერი, გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობაზე, რომელიც საკუთარ ოთახებში დახვდათ ფესტივალის მონაწილეებს, დაურიგდა მაყურებელს და მოხალისეებს.












ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

ოლიმპიური ფესტივალის მოხალისეებისთვის გაიმართა 5 საგანმანათლებლო ტრენინგი გენდერის და არჩევნების თემატიკაზე. მათ მიეწოდათ ინფორმაცია გენდერული თანასწორობის პრინციპების, გენდერულად არადისკრიმინაციული ქცევის და ლექსიკის გამოყენების შესახებ.









საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

საქართველოს 8 რეგიონის 8 ქალაქში წამყვანი მედიასაშუალებების ბაზაზე არსებულმა გენდერის მედიაცენტრებმა და მათი მხრიდან შუამავლის ფუნქციის აღებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა პროექტის წარმატებით განხორციელება.

რუსთავი ოზურგეთი ზუგდიდი ბათუმი











ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

საქართველოს 8 რეგიონის 8 ქალაქში წამყვანი მედიასაშუალებების ბაზაზე არსებულმა გენდერის მედიაცენტრებმა და მათი მხრიდან შუამავლის ფუნქციის აღებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა პროექტის წარმატებით განხორციელება.

თელავი ქუთაისი ახალციხე გორი










ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

ქსელის წევრი მედია საშუალებების მფლობელებმა და ჟურნალისტებმა საქართველოს 8 რეგიონში და თვითმმართველ ქალაქში ქსელის ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყენებით გამართეს შეხვედრები: „გენდერული საუბრები“, „დისკუსიები ინიციატივებისთვის“ და განახორციელეს დისკუსიების დროს დაყენებული ინიციატივების ლობირება მუნიციპალიტეტების მერიის, საკრებულოებისა და გამგეობების დონეზე.









საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები



შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მმართველობის, თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, სტუდენტები, ექსპერტები, შშმ პირები, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, ლიდერი ქალები.







ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

გენდერის მედიაცენტრების ინიციატივით გაიმართა
9 შეხვედრა „გენდერული საუბრები“

9 შეხვედრა „დისკუსიები ინიციატივებისთვის“

10 შეხვედრა „ინიციატივების ლობირებისთვის“ .

პროექტით გათვალისწინებული 250 ადამიანის ნაცვლად, შეხვედრებსა და დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო 978-მა მონაწილემ.



ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები



- პროექტის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე „დისკუსიები ინიციატივებისთვის“ შემუშავდა 20-მდე ინიციატივა. პროექტი ითვალისწინებდა ინიციატივის დაყენებას და ლობირებას, თუმცა, დაყენებული 20-მდე ინიციატივიდან, 4 ინიციატივა ჟურნალისტთა ქსელის აქტიური ლობირების შედეგად, პროექტის განხორციელებისასვე თვითმმართველი ორგანოების მხრიდან სრულად დაკმაყოფილდა.



ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გაითვალისწინა ბათუმის გენდერის მედიაცენტრის ინიციატივა და საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებით, ბათუმსა და ქობულეთში რამდენიმე ქუჩას დაერქმევა გამოჩენილი ქალების სახელები; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააკმაყოფილა ზუგდიდის გენდერის მედიაცენტრის მიერ დაყენებული ინიციატივა და ზუგდიდელი მარტოხელა დედები მომავალი წლიდან, ერთჯერადი ყოველწლიური 200-ლარიანი დახმარების ნაცვლად, ყოველთვიურად 50 ლარს მიიღებენ,



საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

რაც წლის განმავლობაში 600 ლარს უდრის; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააკმაყოფილა ზუგდიდის გენდერის მედიაცენტრის ინიციატივა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების თაობაზე. ინიციატივის საფუძველზე, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,გადარჩენილები მომავლისთვის“, მიიღებს დაფინანსებას 7025 ლარის ოდენობით, რათა უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური დახმარება.


საქართველო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახური

N 06-2393
02/12/2015

2393-06-2-201512021049

ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

გარდა ამისა, ოზურგეთის გენდერის ინიციატივის საფუძველზე, თვითმმართველმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ბიუჯეტის განხილვებს დაესწრონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები, რომლებიც ჩაერთვებიან ბიუჯეტის პროექტის განხილვაში და საკუთარ პრობლემებზე და საჭიროებებზე თავად ისაუბრებენ. რაც შეეხება „დისკუსია ინიციატივებისთვის“ შეხვედრებზე დაყენებულ და შემუშავებულ სხვა ინიციატივებს, ისინი ამ დროისთვის განხილვის სტადიაშია და ჟურნალისტთა ქსელი განაგრძობს აქტიურ ლობირებას.



# აქტივობები





„ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ შეუერთდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში “ქალთა მოძრაობის“ ორგანიზებით ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციაში - „არ გაათხოვო“.



ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

რუსთავში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ახალციხეში და თელავში ერთდროულად გაიმართა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი მასშტაბური აქცია -კამპანია სახელწოდებით „აირჩიე თანასწორობა!“









საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# აქტივობები

- პროექტის ფარგლებში საქართველოს მედია საშუალებებში მომზადდა 50 ზე მეტი ტელე-რადიო გადაცემა და სიუჟეტი
- ქალთა საკითხებზე სხვადასხვა ბეჭდურ საშუალებებში გამოქვეყნდა 200-მდე სტატია, ინტერვიუ, ინფორმაცია
- გენდერის მედიაცენტრებში შეიქმნა სპეციალური ბლოგები
- დაიბეჭდა 30-მდე ბლოგი.

# შედეგები

- საქართველოს 8 ქალაქში არსებობს თავისუფალი და ყველასთვის ხელმისაწვდომი სივრცე გენდერული საკითხებზე დისკუსიებისათვის.

- შეხვედრებმა ხელი შეუწყო მონაწილე სუბიექტების - პოლიტიკური პარტიების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და ლიდერი ქალების გაცნობა-დაახლოებას.

- გაჩნდა მოტივაცია უფრო აქტიურად ჩაერთონ  პოლიტიკურ პროცესებში, როგორც ლიდერი ქალები, ასევე როგორც ამომრჩევლები და უფრო მეტად სოლიდარულნი იყვნენ ქალი კანდიდატების მიმართ.

- ქალებმა, რომელთაც სურთ პოლიტიკაში გააგრძელონ საქმიანობა, პოლიტიკოსებისგან მიიღეს კონკრეტული რჩევები.

ცენტრი

Journalists Network for Gender Equality

# შედეგები

- გაიზარდა სამიზნე ჯგუფების ცნობიერება კვოტირების საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ და მათმა უდიდესმა ნაწილმა გამოთქვა მზადყოფნა, მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას.

- გაიზარდა  სტუდენტების გენდერული თემატიკით დაინტერესება და მოტივაცია მოახდინონ საკითხის ადვოკატირება.

- პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა ღონისძიებებმა - „გენდერული საუბრები“, „დისკუსიები ინიციატივებისთვის“, „შეხვედრა ინიციატივების ლობირებისთვის“; გამართულმა კამპანია-აქციებმა, პროექტის მიმდინარეობისას ცხადყო, რომ დამოკიდებულებების და განწყობების დონეზე მოსახლეობაში შეიმჩნევა გარკვეული პროგრესი და მზადყოფნა, ხმა მისცენ ქალ კანდიდატებს. ასევე, საგრძნობია ქალთა გააქტიურების ტენდენცია.

# შედეგები

- მედიაში გაიზარდა გენდერული პრობლემების და ქალთა პოლიტიკაში გააქტიურების მიზნით შექმნილი მასალების გამოქვეყნება, თუმცა მოსახლეობა ჟურნალისტებისგან კიდევ უფრო მეტ აქტიურობას ითხოვს

- გაიზარდა გენდერულ თემებთან დაკავშირებულ შეხვედრებში მამაკაცების მონაწილეობა. უმეტესობა თვლის, რომ პოლიტიკაცში ქალების რაოდენობის გაზრდა, ქვეყანას წარმატებას მოუტანს.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
Journalists Network for Gender Equality

# შედეგები

- 20-მდე ინიციტივის ლობირებით, მოხდება ადგილობრივი თემებისთვის საჭირო გადაწყვეტილების მიღება. ამით მოხდა ქალთა როლის და შესამლებლობების წარმოჩენა.
- პროექტის განხორციელებისას მოხდა არჩევნებში ჩართული მხარეების კომუნიკაციის და თანამშრომლობის გაღრმავება გენდერული თანასწორობის საკითხებზე.
- გაიზარდა ქალ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის მოტივაცია.
- მედიაპროდუქციის მომზადებით შეიცვალა მოსახლეობაში არსებული ნეგატიური განწყობები და დამოკიდებულებები ქალი კანდიდატების და ქალი პოლიტიკოსების მიმართ; გაიზარდა გენდერული პრობლემების და ქალთა პოლიტიკაში გააქტიურების მიზნით მედიამასალების გამოქვეყნება

# აქტივობები

- **ცხელი ხაზი - 577000934**
- რეკავენ, ძირითადად, ქალები კონსულტაციებს ითხოვენ ოჯახში ძალადობაზე, სამსახურეობრივ პრობლემებზე
- მოგვმართეს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებმა

# “ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის

გმადლობთ

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

Journalists
Network fo
Gender
Equality